

საქართველოს სსრ
საგომბალოე „სპოლს“



K 141.466
3

ნრ. ციციშვილი

თბილისი 1970

ქართული
საბჭოთა არქიტექტურა
50
ნლის პანკილვა

4

საგომბალოე



ივ. ციციშვილი

ქართული
საბჭოთა
არქიტექტურა
50
წლის
მანქილზე

R 141466
3

თბილისი
1970



ქართველი ხალხის ათასწლოვანი ისტორიის მანძილზე შექმნილი კულტურის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს შემადგენელ ნაწილს ხუროთმოძღვრული მემკვიდრეობა შეადგენს. დღეს არქიტექტურა— ეს მშვენიერი, უძველესი და მარად ყველაზე აქტუალური ხელოვნება ჩვენს ქვეყანაში განვითარების სრულიად ახალ ეტაპზეა. მას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან იგი ქმნის ადამიანთა შრომის, ყოფისა და დასვენების მატერიალურ გარემოს, ასახავს საზოგადოების იდეოლოგიას და ხალხის ესთეტიკურ გემოვნებას. ამასთანავე, ზეგავლენას ახდენს მათს ჩამოყალიბებაზე.

სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ახალი ცხოვრების შინაარსი, საბჭოთა ხალხის მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების მისწრაფება არქიტექტურის განვითარების მამოძრავებელი ძალაა. მიწა, შენობები, ნაგებობები მშრომელი ხალხის ხელში გადავიდა და არქიტექტურა სახალხო საქმედ იქცა. საბჭოთა სახელმწიფოს სახალხო მეურნეობის გეგმიანი განვითარების შედეგად არქიტექტურამ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა მიიღო.

როგორც ცნობილია, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ყველა საბჭოთა რესპუბლიკაში არქიტექტურის განვითარება ერთ ძირითად ხაზს მიჰყვება. მუხედავად ადგილობრივი პირობებისა და ტრადიციებით ნაკარნახევი თავისებურებებისა, მისი განვითარება ძირითადად იმ იდეურ პრინციპებს ასახავს, რომლებიც საბჭოთა ხელოვნების საერთო საფუძველს შეადგენენ.

სადღეისოდ აღიარებულია საბჭოთა არქიტექტურის განვითარების სამი ძირითადი ეტაპი: საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან 1932 წლამდე, 1932 წლიდან მშენებლების 1954 წლის საკავშირო თათბირის მოწვევამდე და ამ თათბირის შემდგომი პერიოდი დღემდე. არსებითად, წინა ორი საფეხური საბჭოთა არქიტექტურის განვითარების ერთ პერიოდს წარმოადგენს.

ქართული საბჭოთა არქიტექტურის განვითარების პირველი დაწყებითი პერიოდი მოიცავს ათ წელიწადს: 1921 — 1932-1933 წლებს. ეს ის პერიოდი, როდესაც რესპუბლიკაში იწყება სოციალისტური მშენებლობის გაშლა, იქმნება მრეწველობის პირველი მსხვილი კერები, ვითარდება მეცნიერებისა და ტექნიკის ყველა დარგი. დიდი მასშტაბის რთული ამოცანები წამოიჭრა არქიტექტურის წინაშე. ინტენსიური მშენებლობის ვითარებაში ჩაისახა და გამოკლინდა მრავალი ახალი ამოცანა, სრულიად ახალი არქიტექტურული თემა. ამასთანავე, ყოველივე ეს ხდებოდა მენშევიკების ბატონობის შედეგად დაქვეითებული მეურნეობის ვითარებაში.

მართალია, საქართველო ცნობილია თავისი ბრწყინვალე მემკვიდრეობითა და ტრადიციებით, მაგრამ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ეს ტრადიციები უკვე გაწყვეტილი და მივიწყებული იყო. XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში საქართველოს ქალაქებში ფეხს იკიდებს ბურჟუაზიული საშემოსავლო სახლები, რომელთა არქიტექტურა ევროპასა და რუსეთში გაბატონებული ეკლექტიზმის გამოძახილს წარმოადგენს. საუკუნის დასაწყისში ქართული ეროვნული ფორმების აღდგენის ცალკეული ცდები (სათავადაზნაურო ბანკის შენობა — ამჟამად სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა, ქაშვეთის ეკლესიის აგება), ცხადია, რევოლუციამდელ საქართველოში უნიადაგო აღმოჩნდა.

საქმეს ისიც ართულებდა, რომ რესპუბლიკაში სრულიად არ იყო არქიტექტორთა ეროვნული კადრები. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე არქიტექტორთა მომზადების საქმეს განსაკუთრებული ყურადღება მიექცა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტზე შეიქმნა სახუროთმოძღვრო სპეციალობა, რომელიც შემდგომში განვითარდა პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, ხოლო იმავე 1922 წელს დაარსებულ სამხატვრო აკადემიაში ჩამოყალიბდა სახუროთმოძღვრო ფაკულტეტი.

ბუნებრივია, რომ ამ პერიოდში ძირითად ამოცანას წარმოადგენდა კომუნალური მეურნეობის გადაუდებელ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. ახალმა საზოგადოებრივმა წყობილებამ ძირფესვიანად შეცვალა დასახლებული ადგილების დაგეგმარებისა და კე-



თიღმორწყობის ძველი პირობები. ქალაქების რეკონსტრუქციის განხორციელებულ პირველ ღონისძიებებს საფუძვლად დაედო რედ ქალაქთმშენებლობის სოციალისტური პრინციპი — ზრუნვა ექსპლოატაციისაგან განთავისუფლებულ მშრომელ ხალხზე. ნატანტარის წყალსადენის გამოყვანამ, შიდაქალაქური ტრანსპორტის მოწყვრიგებამ და 1927 წელს ზაპესის აგებამ მკვეთრად გააუმჯობესეს თბილისის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობები.

ახალი საბჭოთა რესპუბლიკა შეუდგა სოციალისტური საზოგადოების შენებას. არქიტექტურას მშრომელებისათვის მოჰქონდა მნიშვნელოვანი მატერიალური კეთილდღეობა. იგი ქმნიდა ფაბრიკებსა და ქარხნებს, სკოლებსა და კლუბებს, საცხოვრებელ სახლებსა და სხვა. თბილისში და საქართველოს სხვა ქალაქებში აიგო მრავალი საზოგადოებრივი და ადმინისტრაციული შენობა, მძიმე საყოფაცხოვრებო პირობებში მყოფი მუშებისათვის აშენდა ახალი საცხოვრებელი კომპლექსები. გაიშალა საკურორტო მშენებლობაც.

თბილისში, რომლის მოსახლეობა რევოლუციის შემდეგ მკვეთრად გაიზარდა, ინტენსიური მშენებლობა დაიწყო ვაკის უბანში. გაიშალა მშენებლობა ქალაქის განაპირა მუშათა უბნებშიც. ამ მხრივ აღსანიშნავია პლენაროვის სახელობის პირველი მუშათა კლუბის მშენებლობა მუშათა რაიონში — ნაძალადევში. აქვე შენდება კინოთეატრი, აბანო, საბავშვო სახლი. 1926—1927 წლებში ტრამვაელი მუშებისათვის იგება საცხოვრებელ სახლთა მსხვილი კომპლექსი.

უკვე რევოლუციის შემდგომ პირველ წლებში აშენდა სანატორიუმები ლიბანსა და აბასთუმანში, ფიზიოთერაპიის ინსტიტუტის შენობა და სასტუმრო ბორჯომში. შენდება სანატორიუმები წყალტუბოში და სხვ. ამ პერიოდში მთელი საბჭოთა არქიტექტურისათვის დამახასიათებელია შემოქმედებითი ძიება. ბუნებრივია, რომ ახალი წყობილების პირობებმა წარმოშვეს ძველი. დრომოქმული არქიტექტურული ტრადიციების გადასინჯვისა და ყოველივე უცხოს განდევნის, გადალახვის აუცილებლობა. მართლაც, დაიწყო მძაფრი ძიება, რომელსაც თან სდევდა ექსპერიმენტები და შემართება ეპოქის სტილის გაზრების მიზნით. ასეთ შემოქმედებით ძიებას წინ ეღობებოდა ერთი მხრივ, სახელმწიფოს ცენტრიდან გამომდინარეული კონსტრუქტივიზმი, ხოლო მეორე მხრივ, ადგილობრივ ნიადაგზე აღმოცენებული ეროვნული მემკვიდრეობის გადაფასების ტენ-

დენცია. თუმცა ამ სრულიად საწინააღმდეგო მიმართულებათა არსებობის ვითარებაშიც უკვე შეიძლება შევამჩნიოთ არქიტექტურის განვითარების ძირითადი ხაზი, რომელიც შემდგომში უფრო მკვეთრად გამოვლინდა.

თუმცა საქართველოში კონსტრუქტივიზმი არ ჩამოყალიბებულა მხატვრული მიმართულების სახით და მისი გავლენაც შედარებით უმნიშვნელო იყო, მან მაინც დატოვა ერთგვარი კვალი არქიტექტურულ პრაქტიკაში. ამ შენობათა ნაწილი არ განირჩევა ორიგინალობით და რაიმე სიახლით. ეს უსიცოცხლო, ყოველგვარ ხალისს მოკლებული შენობები, შიშველი შემინული კედლებით დისკრედიტაციას უქმნიდა თვით ამ მიმართულებას (კავშირგაბმულობის სახლო, არქ. კ. სოლომონოვი, 1932 წ., პურის ქარხანა, არქ. გ. ნესტეროვი, 1929 წ. სპეციალისტთა სახლები საბურთალოში და სხვ.). ამავე დროს ამ მიმართულების ზოგიერთი შენობა ხასიათდება ფუნქციური თვისებების კარგი გააზრებითა და მარჯვე პროპორციებით. ასეთია, მაგალითად, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შენობა (არქ. ნ. სევეროვი, 1930 წ.), გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქციის შენობა (არქ. დ. ჩისლიევი, 1928 წ.), საცხოვრებელი სახლები ჭონქაძის ქუჩაზე (არქ. გ. ტერ-მიქელოვი, 1929 წ.) და სხვ. საჭიროა აქვე აღინიშნოს, რომ კონსტრუქტივიზმის, ფუნქციონალიზმის საყოველთაოდ ცნობილ ნაკლოვანებათა ცალმხრივობისა და შეურიგებლობის მიუხედავად, არ შეიძლება მართებულად ჩაითვალოს მისდამი რამდენადმე ნიჰილისტური დამოკიდებულება და მისი ისეთი მხარეების უგულვებელყოფა, როგორცაა გეგმის რაციონალური გადაწყვეტა, ფორმების სისადავე, კონსტრუქციების გამოვლენა და მისწრაფება არქიტექტურული სახის შექმნის მიზნით ახალი სამშენებლო მასალების გამოყენებისაკენ.

აღნიშნული შენობები მაინც გაცილებით პროგრესულად უნდა ჩაითვალოს, ვიდრე კონსტრუქტივიზმთან ერთგვანად ფორმებისა და მოტივების მექანიკური შერწყმის შედეგად შექმნილი ნაწარმოებები (კინოსტუდიის შენობა, არქ. მ. ბუზ-ოლი, 1930 წ., ტუბერკულოზის ინსტიტუტი, აწინდელი სამედიცინო ინსტიტუტი. არქ. კ. ლეონტიევი, 1930 წ.) ან ფსევდო-ქართულ ფორმებში აგებული შენობები — საცხოვრებელი სახლი ლენინისა და მელიქიშვილის ქუჩების გადაკვეთაზე (არქ. ვ. იაკუბოვიჩი, 1929 წ.), ტრამვაელთა



საცხოვრებელი სახლები (არქ. დ. ჩისლიევი, 1928 წ.), სადაც უმეტესად ციური მხარე სავსებით დაქვემდებარებულია წინასწარ შეტყობილ ფორმებისადმი და რომელთაც, არქაული მოტივების შემთხვევაში და მექანიკური გამოყენების შედეგად, არც რაიმე მხატვრული ღირებულება გააჩნიათ. შენობათა გარეგანი სახე, ცემენტში დაუდევრად შესრულებული ჩუქურთმებით, მასიური ბოქებით, ქონგურიანი კოშკებით, უცხო სამნაწილიანი თაღებითა და ვიწრო სარკმელებით, აშკარად ეწინააღმდეგება მათს ახალ შინაარსს. მართალია, ზოგიერთ შენობაში, როგორცაა მაგალითად, ტრამვაელთა საცხოვრებელი სახლები, აღსანიშნავია მართებული მისწრაფება ამოცანის გადაწყვეტისა ქალაქთმშენებლობის პრინციპებზე დაყრდნობით, საცხოვრებელ სექციებში ზოგიერთი მიზანშეწონილი ელემენტების — ღია კიბის უჯრედების, ღრმა ლოჯიების, ვერანდების — დანერგვისაკენ, მაგრამ ეროვნული შემკვიდრობისადმი ფორმალური მიდგომა სახელს უტეხდა ამ ტენდენციებს და ეჭვს ბადებდა თვით ამ გეზის სისწორეში.

პირველი პერიოდის იმ შენობათა შორის, რომლებიც ხასიათდებიან კარგი პროპორციებით, ეროვნული ხუროთმოძღვრების მოტივების თავშეკავებული გამოყენებით, ადგილმდებარეობასთან კარგი შეხამებით და, საერთოდ, უფრო მაღალი პროფესიული ოსტატობით უნდა აღინიშნოს ზაპესის ნაგებობათა კომპლექსი — (არქ. ა. კალგინი, არქ. მ. მაჭავარიანის მონაწილეობით, 1922—1927 წლები), საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის შენობის ფასადი (არქ. ნ. სევეროვი, 1929 წ.) და ნაწილობრივ ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს შენობა (არქ. ნ. მადათოვი, 1930 წ.), თუმცა ამ შენობებშიც ახალი, ფორმით ეროვნული არქიტექტურის შექმნის იდეა სწორად არ იყო გაგებული.

მაგრამ ზრდის ყველა ამ რეციდივმა ვერ დააბრკოლა საბჭოთა ქართული არქიტექტურის შემდგომი წინსვლა, შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული შეცდომები თუ გადახვევები განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა შემდგომში სწორედ ქართული არქიტექტურის თვალსაჩინო აღმავლობის ფონზე.

1932 წლიდან იწყება ქართული საბჭოთა არქიტექტურის განვითარების მეორე ეტაპი, რომელიც დაკავშირებულია ქვეყნის სახალხო მეურნეობის მძლავრ აღმავლობასთან. საქართველო მთელ

საბჭოთა კავშირთან ერთად ჩაება ინდუსტრიალიზაციის განვითარებაში. ამან თავის მხრივ განსაზღვრა ქალაქებისა და სოფლების გეგმარებისა და განაშენიანების სწრაფი ტემპი და

ამ გრანდიოზულ სამუშაოთა ღირსეულად განხორციელების მიზნით არქიტექტორებისათვის არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა საკავშირო კვ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1931 წლის ივლისის პლენუმის დადგენილებას კომუნალური მეურნეობის საკითხებზე და 1932 წლის 23 აპრილის დადგენილებას „ლიტერატურულ-მხატვრული ორგანიზაციების გარდაქმნის შესახებ“, აგრეთვე დადგენილებებს „საბჭოების სასახლის მშენებლობის“ და რამდენადმე გვიან (1935 წ.) — „მოსკოვის რეკონსტრუქციის გენერალური გეგმის შესახებ“. ამ დადგენილებებმა განსაზღვრეს მთელი საბჭოთა არქიტექტურის, კერძოდ, ქართული საბჭოთა არქიტექტურის განვითარების იდეური ხაზი.

საყურადღებოა, რომ ამ პერიოდში უფროსი თაობის ოსტატთა: ა. კალგინის, ნ. სევეროვის, მ. კალაშნიკოვის, მ. ნებრინცევის, მ. მაქვარიანის, გ. ტერ-მიქელოვის და სხვათა გვერდით ასპარეზზე გამოდიან უკვე თბილისის უმაღლეს სასწავლებლებში გამოზრდილი ახალგაზრდა სპეციალისტი-არქიტექტორები: ა. ქურდიანი, მ. შავიშვილი, ა. ნიკოლაიშვილი, ა. თევზაძე, ი. ყირქესალი, გ. ლეჟავა, ქ. ფორაქიშვილი-სოკოლოვა, ა. ინწკირველი, მ. ჩხიკვაძე, ვ. ქორქაშვილი და მრავალი სხვა. კადრების ზრდამ დასაბამი მისცა ქართველ არქიტექტორთა ორგანიზაციის შექმნას. 1934 წელს დაარსდა საქართველოს საბჭოთა არქიტექტორთა კავშირი, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა არქიტექტორთა შემოქმედებით ცხოვრებაში.

1933 წლიდან დაიწყო თბილისის რეკონსტრუქციის განხორციელება. მოკლე დროში შეიქმნა მრავალი ახალი მაგისტრალი. დაიწყო მტკვრის სანაპიროების მშენებლობა, რაც აუცილებელი იყო გაზრდილი ტრანსპორტის მოძრაობის მოწესრიგების მიზნით. ყოფილ „მადათოვს კუნძულზე“; რომელიც ქალაქის სანაგვედ იყო ქცეული, გაშენდა შესანიშნავი პარკი. დიდ მნიშვნელობა ჰქონდა ჩელუსკინელების სახელობის ახალი ხიდის მშენებლობას (ინჟ. ნ. სლოვინსკი, კ. ზავრიევი, არქ. ნ. სევეროვი, 1935 წ.), ხოლო მასთან დაკავშირებით ახალი მაგისტრალისა და საბჭოთა კავშირის გმირთა სახელობის მოედნის შექმნას. 1935 წელს დამთავრდა ბარათაშ-

ვილის სახელობის აღმართის გაფართოება და კეთილმოწყობა. ჩატარდა ლენინის, ვ. მარქსისა და სადგურის მოედნების ნაწილობრივი რეკონსტრუქცია, რუსთაველისა და პლენანოვის პარკების, უნივერსიტეტის, საბჭოს, შაუმიანის, ბრძოლისა და სხვა ქუჩების კეთილმოწყობა. დიდი სამუშაოები ჩატარდა თბილისის გამწვანების მხრივაც.

ამ პერიოდში შეიქმნა ახალი სკვერები და ბალები — კიროვის სახელობისა, ზოჯევანის სასაფლაოს ადგილას და სხვ. უხვადასრულდა სანაპიროები და თითქმის ყველა ქუჩა. დაიწყო მთაწმინდის კალთების გამწვანება. შეიქმნა კომკავშირის ხეივანი და კულტურისა და დასვენების დიდი პარკი ფუნუკულიორის ზემო პლატოზე (არქ. ზ. და ნ. ქურდიანები, დენდროლოგი ე. ციციშვილი). ამასთან ერთად გაიშალა საზოგადოებრივ შენობათა მშენებლობა, აშენდა პრავალი საცხოვრებელი სახლი და 30-მდე სასკოლო შენობა. ამ პერიოდში იქნა აგებული სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-ქიმიის კორპუსი (არქ. მ. შავიშვილი, 1940 წ.), ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის შენობა (არქ. მ. ნეპრინცევი, ნ. გლაზკოვის მონაწილეობით, 1941 წ.), დაიწყო საქართველოს პოლიტექნიკური და სამედიცინო ინსტიტუტების კომპლექსების მშენებლობა (არქ. მ. შავიშვილი).

აგებულ საზოგადოებრივ შენობათა შორის აღსანიშნავია კინოთეატრი „რუსთაველი“ (არქ. ნ. სევეროვი, 1939 წ.), სახელმწიფო ცირკის შენობა (არქ. ნ. ნეპრინცევი, ს. სატუნცი, ვ. ურუშაძე, 1940 წ.), ფუნუკულიორის ზემო სადგურის შენობა (არქ. ზ. და ნ. ქურდიანები, ა. ვალაბუევის მონაწილეობით, 1938 წ.), „დინამოს“ სტადიონი (არქ. ა. ქურდიანი, 1935 — 1937 წლები), წიგნის სასახლე (არქ. ნ. ბარათაშვილი, გ. მიქაელიანი, 1939 წ.). 1935 წელს შენდება სამკურნალო კომბინატი ვაკეში (არქ. ნ. ზურაბიანი, ნ. უშენინი), ბალნეოლოგიური კურორტი (არქ. ი. ჟიტკოვსკი, მ. კალაშნიკოვი, ბ. კარბინი, 1937 წ.).

ამ პერიოდში განსაკუთრებულ მოვლენად უნდა ჩაითვალოს მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის თბილისის ფილიალის შენობის აგება (არქ. ა. შჩუსევი, 1938 წ.) და საქართველოს მთავრობის სახლის პირველი რიგის მშენებლობა (არქ. ვ. კოკორინი გ. ლეჟავას მონაწილეობით, 1938 წ.), ამდროინდელი ქართული საბჭოთა არქი-

ტექტურის დიდი წარმატებაა საქართველოს პავილიონის აგება სს-
კავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მოსკოვში (არქ. ა. ქურდიანი,
დიანი, გ. ლეჟავას მონაწილეობით, 1938 წ.).

მრავალ საცხოვრებელ სახლს შორის აღსანიშნავია ასბინიანი
სახლი გმირთა მოედანზე (არქ. მ. კალაშნიკოვი, 1938 წ.), სახლები—
რუსთაველის პროსპექტზე (არქ. ა. ქურდიანი, ს. ყუბანეიშვილი,
მ. მელია, 1939 წ.), პლეხანოვის პროსპექტზე (არქ. მ. კალაშნიკო-
ვი, 1935 წ.), ბარათაშვილის ქუჩაზე (არქ. ს. დემჩინელი, ა. ქურდიანი,
გ. ჯანდიერი, 1941 წ.) და სხვ.

ამ პერიოდში იგება ბევრი სამრეწველო ნაგებობა — თბილისის
ჩაის გადაწვონი ფაბრიკა (არქ. ა. ნიკოლაიშვილი, 1937 წ.), საქსოვ-
სატრიკოტაჟო კომბინატი (არქ. ი. დომშლაკი, 1936 წ.), ზესტაფონ-
ხის ფეროშენადნობათა ქარხანა, კასპის ცემენტის ქარხანა, ენგურის
ქაღალდის კომბინატი, ქუთაისის აზოტ-ტუკის კომბინატი და სხვ.
განვითარდა სამრეწველო ქალაქები — ქიათურა, ტყიბული, ტყვარ-
ჩელი.

საქართველოს ყველა ქალაქში მათს კეთილმოწყობასთან ერთად
აშენდა მრავალი მნიშვნელოვანი ობიექტი: ქუთაისში — სასტუმრო
(არქ. მ. ჩხიკვაძე, 1935 წ.), სოხუმში — ადმინისტრაციული შენო-
ბა (არქ. ვ. შჩუკო, 1939 წ.), ბათუმში — სასტუმრო (არქ. ა. შჩუ-
სევი, 1939 წ.), ცხინვალში — ადმინისტრაციული სახლი (არქ. ვ. შა-
ვიშვილი, 1937 წ.), გორში — პედაგოგიური ინსტიტუტის შენობა
(არქ. მ. ნეპრინცევი და ნ. ფარემუზოვა, 1937 წ.) და თეატრი (არქ.
შ. თავაძე და მ. ჩხიკვაძე, 1935 წ.).

ამ წლებში კიდევ უფრო დიდი გაქანება მიიღო საკურორტო
მშენებლობამ. ბევრი რამ გაკეთდა კურორტების დაგეგმარებასა და
კეთილმოწყობის მხრივ. განვითარდა ზღვისპირა კურორტები —
გაგრა, მწვანე კონცხი, ციხისძირი, ახალი ათონი; კლიმატური კუ-
რორტები — ლიკანო, წაღვერი, ბაკურიანი.

ქართველი არქიტექტორები აქტიურად მონაწილეობენ საკოლ-
მეურნეო სოფლების მშენებლობაში. სოფლებში აშენდა 500-მდე
სასკოლო შენობა, კარგი კლუბები, ახალი საცხოვრებელი სახლები.

როგორც ვხედავთ, ეს პერიოდი მშენებლობის განსაკუთრებით
დიდი გაქანებითა და მასშტაბით ხასიათდება, მაგრამ ამავე დროს
თვალსაჩინოა არქიტექტორების პროფესიული დაოსტატება, არქი-



ტექტურული ენის გამდიდრება, ეროვნული მემკვიდრეობის უფრო ფართო, ღრმა გაგება და, საერთოდ, ახალი საბჭოთა არქიტექტურის განვითარების გზების უფრო დაკვირვებული შემოქმედებითი ძიება.

ამ პერიოდის არქიტექტურულ პრაქტიკაში რამდენიმე ტენდენცია შეიმჩნევა: მათ შორის ძირითადი უკვე წინა ეტაპზე დასახული გეზი ეროვნული მემკვიდრეობის კომპოზიციური ხერხებისა და მოტივების შერწყმისა ნაგებობის ახალ შინაარსთან. ამ ტენდენციით შექმნილ შენობათა ერთი ნაწილი ცხადყოფს ავტორების სერიოზულ მიდგომას ეროვნული ფორმისადმი, მათს ტრანსფორმაციისა და შემოქმედებითი ათვისების უნარს (დინამოს სტადიონი, ფუნიკულიორის ზემო სადგურის შენობა, საქართველოს მთავრობის სახლის პირველი რიგის მშენებლობა, საქართველოს პავილიონი საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე და სხვ.).

ამასთანავე, ხშირია შემთხვევები მემკვიდრეობის ზერელე ათვისებისა, ახალ ნაგებობებში ძველი არქაული ფორმების წმინდა მექანიკური დანერგვისა და გადაჭარბებული მორთულობისაკენ გაუმართლებელი მისწრაფებისა (სასტუმრო ქუთაისში, თბილისის ჩაის გადამწონი ფაბრიკა, გორის თეატრი, საცხოვრებელ სახლი ბარათაშვილის ქუჩაზე თბილისში). ამ ძირითადი გეზის გვერდით თვალსაჩინოა ზოგიერთი, უმთავრესად უფროსი თაობის არქიტექტორის მისწრაფება — გამონახოს ახალი შინაარსი გამომდინარე კლასიკური არქიტექტურის პოზიციებიდან, მოახერხოს კლასიკური და ეროვნული არქიტექტურული ფორმების შეთავსება (მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის ფილიალის შენობა, ასბინიანი სახლი გმირთა მოედანზე, წიგნის პალატა, კინოთეატრი „რუსთაველი“, სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-ქიმიის კორპუსი, სახელმწიფო ცირკის შენობა).

ბუნებრივია, რომ არქიტექტურის რთული ამოცანებისადმი ასეთი, პრინციპულად არასწორი მიდგომის შედეგად ხშირად იქმნებოდა მხატვრული თვალსაზრისით ნაკლებად მეტყველი, რამდენადმე ეკლექტიკური შენობები (ადმინისტრაციული სახლი სოხუმში, საცხოვრებელი სახლი თბილისში — რუსთაველის პროსპექტზე, რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის შენობა, კვების მრეწველობის სამინისტროს ადმინისტრაციული სახლი). დასასრულ აღსანიშნავია რამდენიმე შენობა, სადაც ავტორებმა მეტნაკლებად შეინარჩუნეს და საკმაოდ მარჯვედ გამოიყენეს კონსტრუქტივიზმის

საუკეთესო პრინციპები — სანატორიუმი მწვანე კონცხზე (არქ. ი. ჟიტკოვსკი, 1934 წ.), დასასვენებელი სახლი გაგრაში (არქ. ნ. სულვეროვი, 1935 წ.), სასტუმრო ბათუმში (არქ. ა. შჩუსევსკი, 1939 წ.).

ამასთან, უკვე ამ პერიოდის დასაწყისში თანდათანობით ფეხს იკიდებს აზრი, თითქოს შენობის არქიტექტურული სახის ძირითად იდეურ-მხატვრულ შინაარსს მისი მონუმენტურობა და საზეიმო ხასიათი წარმოადგენს. ამის შედეგი იყო შენობის გარეგან სახეზე უურადღების გამახვილება და მისი ფუნქციური დანიშნულების უგულებელყოფა. პირველი პერიოდის სადა, ნაკლებად დეკორატიული შენობები უკვე აღიქმება როგორც მეტად ღარიბი და შეუფერებელი.

როგორც ჩანს, ქართულ საბჭოთა არქიტექტურაში განვითარების ძირითად ხაზად ისახება ახალი არქიტექტურის შექმნა ეროვნული ხუროთმოძღვრული ტრადიციების ათვისების ნიადაგზე. მაგრამ თვით მიდგომა როგორც ეროვნული, ისე კლასიკური არქიტექტურული მემკვიდრეობისადმი, ხშირად ცალმხრივია და სერიოზულ გააზრების ნაცვლად მხოლოდ გარეგან მხარეებს ეხება. სამწუხაროდ, მემკვიდრეობისადმი ასეთ მიდგომასა და პრაქტიკის მცდარ ორიენტაციას ხელს უწყობდა საბჭოთა არქიტექტურის მაშინდელი თეორიისა და ზოგიერთი წამყვანი ოსტატის, მაგალითად აკადემიკოსების — ი. ჟოლტოვსკის, ა. შჩუსევსის, ა. თამანიანისა და სხვათა ყალბი კონცეფცია.

1941 წლის 22 ივნისს საბჭოთა კავშირზე ფაშისტური გერმანიის თავდასხმის შედეგად დაიწყო დიდი სამამულო ომი, რომელმაც დროებით შეაფერხა საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი, შემოქმედებითი შრომა, მრავალი ქართველი არქიტექტორი წავიდა სამშობლოს დასაცავად და ბევრმა მათგანმა შესწირა კიდევაც მას თავი.

დიდ სამამულო ომში ძლევამოსილი გამარჯვების შემდეგ კვლავ გაიშალა მუშაობა ომის შემდგომი ხუთწლედის ამოცანათა შესასრულებლად. საჭირო იყო სახალხო მეურნეობაში ომის შედეგების სწრაფი ლიკვიდაცია, ომამდელი დონის აღდგენა და შემდეგ — გადაჭარბებაც. დიდი ამოცანები დაისახა არქიტექტორების წინაშე. ისინი გამალებით შეუდგნენ საცხოვრებელი სახლების შენებას, საზოგადოებრივი და ადმინისტრაციული შენობების აგებას, საკრამეურნეო სოფლების მშენებლობას. დამტკიცდა, თბილისის განვითარების



რებისა და რეკონსტრუქციის გენერალური გეგმა 1951 — 1970 წწ. (ავტორები ზ. ქურდიანი, ვ. ზოლოტუხინი, მ. ნეფედოვი) რეკონსტრუქციის გეგმა ითვალისწინებდა ქალაქის განვითარებას სოფლის მეურნეობის მიმართულებით. ახალი მშენებლობა ძირითადად ვათვალისწინებულია საბურთალოსა და დიღმის ველზე (ჩრდილო-დასავლეთით) და ნავთლულ-ლილოს მიმდებარე (სამხრეთ აღმოსავლეთით). გენერალური გეგმა ითვალისწინებდა მოსახლეობის სიმჭიდროვის შემცირებას 10%-ით, ქალაქის უხვ გამწვანებას მის ირგვლივ ძწვანე სარტყლის შექმნით.

თბილისში კვლავ იწყება ძირითადი მაგისტრალების, ქუჩების, ძოვანების რეკონსტრუქცია და განაშენიანება, გრძელდება მტკვრის სანაპიროს მშენებლობა და, ამასთან დაკავშირებით, ხიდების აგება. ამ პერიოდში აიგო ხიდები: მეტეხისა (არქ. ს. დემინელი, ინჟ. გ. ჩომახიძე, 1950 წ.), ელბაქიდის სახელობისა (არქ. მ. მელია, ინჟ. გ. ჩომახიძე, 1952 წ.), დიდუბისა (არქ. ა. ქურდიანი, ინჟ. კ. დიდიძე, 1954 წ.), ორთაქალის პესისა და 300 არაგველის ხიდის (არქ. ო. ბაგრატიონი, თ. მარგველაშვილი, ინჟ. გ. ქარცივაძე, გ. წილოსანი, 1955 წ.), მშენებლობის შედეგად შესაძლებელი გახდა მტკვრის დონის აწევა, რამაც ქალაქი დაამშვენა და შექმნა პირობები წყლის სპორტის განვითარებისათვის.

შეიქმნა ახალი ან რეკონსტრუირებულ იქნა ძველი მაგისტრალები. ქალაქის მთავარი—რუსთაველის სახელობის პროსპექტი კვლავ გადახალისდა. ადრე აგებული საზოგადოებრივი და ადმინისტრაციული შენობების შემდეგ პროსპექტის ანსამბლი გამდიდრდა ახალი ნაგებობებით—დამთავრდა მთავრობის სახლის წინა კორპუსი (არქ. ვ. კოკორინი და გ. ლეჟავა, ვ. ნასარიძის მონაწილეობით, 1953 წ.), მთლიანად რეკონსტრუირებულ იქნა კავშირგაბმულობის კონსტრუქტივისტური შენობა (არქ. ი. ჩხენკელი, 1954 წ.), კვლავ გადახალისდა ლენინის სახელობის მოედანი, სადაც გაშენდა ახალი სკვერი, ხოლო მოედნის ცენტრში აიგო ვ. ი. ლენინის მონუმენტური ძეგლი (მოქანდაკე ვ. თოფურიძე, არქ. გ. მელქაძე, შ. ყავლაშვილი, კ. ჩხეიძე, გ. ხეჩუმაშვილი, 1956 წ.), 1949 წელს მთლიანად გარდაიქმნა მელიქიშვილის ქუჩა, რომელიც ჭავჭავაძის პროსპექტთან ერთად რუსთაველის პროსპექტის ორგანულ გაგრძელებად იქცა და ამგვარად შეიქმნა ფართო 5 კილომეტრიანი მაგისტრალი. ელბაქიდის ხიდის

მშენებლობასთან დაკავშირებით გაიჭრა ახალი ქუჩა, რომელმაც მარჯვედ დააკავშირა რუსთაველის პროსპექტი ახალ ხიდს. რუსთაველის მოედანზე აშენდა „საქნახშირის“ ტრესტის შენობა (არქ. მ. ჩხიკვაძე, კ. ჩხეიძე, 1953 წ.). თუმცა ეს შენობა ვერაა მერწყობული მოედნის სხვა შენობებთან, მისმა მაღალმა კოშკმა დაჩრდილა ადრე აგებული რუსთაველის ძეგლი. ამასთანავე, შენობის აგებასთან ერთად შეიქმნა რთული სატრანსპორტო კვანძი. რეკონსტრუქცია ჩატარდა სადგურის მოედანზეც. აქ აშენდა სადგურის ახალი შენობა (არქ. გ. ტერ-მიქელოვი; 1953 წ.), და მის მოპირდაპირე მხარეზე — ორი საცხოვრებელი სახლი (არქ. მ. ჩხიკვაძე), რომელთა არქიტექტურა არაა ერთმანეთთან შეხამებული.

თბილისის მეორე მნიშვნელოვან მაგისტრალზე — პლესხანოვის პროსპექტზე შეიქმნა ახალი, მარჯანიშვილის სახელობის მოედანი, რომელიც შემოიფარგლა კომპლექსურად გაშენებული ხუთსართულიანი სახლებით (არქ. მ. მელია, 1947—1949 წწ.), გაფართოვდა და სახე იცვალა ბარათაშვილის ქუჩამ. ყოფილი სადგურის ქუჩის ნაცვლად შეიქმნა ახალი, ფართო ჩელუსკინელების ქუჩა.

მწვანე ნარგავებით დაიფარა თბილისის ირგვლივ მდებარე მოეზის კალთები. ვაკე დამშვენდა ახალი 120 ჰექტარის ფართობის დიდი პარკით (არქ. ქ. დგებუაძე, დენდროლოგი ე. ციციშვილი, 1956 წ.)*, პარკში აშენდა 25 000-ადგილიანი ახალი სტადიონი (არქ. ქ. დგებუაძე). სამგორის არხის გაყვანასთან ერთად ქალაქში შეიქმნა დიდი ხელოვნური წყალსაცავი ე. წ. „თბილისის ზღვა“, რომლის ირგვლივ საფუძველი ჩაეყარა 800 ჰექტარის ფართობის ტყე-პარკს.

ამ პერიოდში ქალაქში აშენდა ბევრი საყურადღებო შენობა: დამთავრდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის რამდენიმე კორპუსი (არქ. მ. შავიშვილი, 1954 წ.) და რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტი (არქ. მ. ნეპრინცევი), აშენდა ზოოტექნიკურ-ვეტერინარული ინსტიტუტის ახალი შენობა (არქ. ს. რევიშვილი, 1954 წ.), პედაგოგიური ინსტიტუტი (არქ. ვ. ქორქაშვილი, 1953 წ.), ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი (არქ. ი. კასრაძე, 1953 წ.), მე-

* აქ ჩამოთვლილი რიგი ნაგებობა აგებულია ან დამთავრებული უკვე ქართული საბჭოთა არქიტექტურის განვითარების შემდეგ ეტაპზე (1954 წლის შემდეგ), მაგრამ მათი არქიტექტურა არსებითად შექმნილია წინა პერიოდში.

ლიქიშვილის ქუჩაზე — სასტუმრო „საქართველო“ (არქ. ნ. ფორცხალიაშვილი, გ. თავდგირიძე, 1954 წ.), პლენანოვის პროსპექტზე რკინიგზელთა სახლი (არქ. გ. ტერ-მიქელოვი, 1950 წ.), ახალი სკოლა (მაგალითად, ფალიაშვილის ქუჩაზე, არქ. ვ. სარქისოვი და ლ. ხარაშვილი, 1952 წ.) და საბავშვო ბაღი (ბარნოვის ქუჩაზე, არქ. გ. მელქაძე და შ. ყავლაშვილი, 1953 წ.). თუმცა ამ პერიოდის ყველაზე მნიშვნელოვან ნაწარმოებად მაინც საქართველოს სსრ მთავრობის სახლის წინა კორპუსი მიგვაჩნია.

ბუნებრივია, ამ პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება საბინაო მშენებლობას, რამაც თავის მხრივ წარმოშვა საცხოვრებელი სექციებისა და სახლების ტიპობრივი პროექტების შექმნის აუცილებლობა. სამამულო ომის დამთავრებისთანავე გამოცხადებულმა კონკურსებმა გამოავლინეს ტიპობრივი საცხოვრებელი სექციების ბევრი საინტერესო გადაწყვეტა (არქ. ვ. კეღია, მ. მელია, ა. ნიკოლაიშვილი, გ. თავდგირიძე, ლ. სუმბაძე და სხვები). მტკიცდება ტიპობრივი საცხოვრებელი სექციები საქართველოსათვის (არქ. ი. ჩხენკელი, 1953 წ.). ამას გარდა ფართოდ გაიშალა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობა. ქართველი არქიტექტორები თანდათან ამუშავებენ თანამედროვე საცხოვრებელი სახლის გეგმარებით — კონსტრუქციულ სქემას. ამ მხრივ თვალსაჩინოა საცხოვრებელი სახლები: ნიკო ნიკოლაძის ქუჩაზე (არქ. ა. მიმინოშვილი, 1949 წ.), პლენანოვის პროსპექტზე (არქ. ი. ჩხენკელი, 1950 წ.), ჭავჭავაძის პროსპექტზე (არქ. ქ. ფორაქიშვილი-სოკოლოვა, გ. მელქაძე და შ. ყავლაშვილი), ლენინის ქუჩაზე (არქ. ა. თევზაძე), მელიქიშვილის ქუჩაზე (არქ. ი. კასრაძე, ა. თევზაძე, 1950 წ.), პეკინის ქუჩაზე (არქ. ქ. ფორაქიშვილი-სოკოლოვა და ი. ჩხენკელი, 1955 წ.), ჩელიუსკინელთა ქუჩაზე (არქ. ლ. სუმბაძე, ს. დემჩინელი, ი. კასრაძე, გ. მინდორაშვილი)

ბევრი მნიშვნელოვანი ღონისძიება ჩატარდა საქართველოს სხვა ქალაქშიც. ქუთაისში განხორციელდა ქალაქის ცენტრის რეკონსტრუქცია, შეიქმნა ახალი ვრცელი მოედანი, სადაც აშენდა დრამატული თეატრის შენობა (არქ. მ. შავიშვილი, შ. თავაძის მონაწილეობით, 1955 წ.), ქარხანა „სამთოელის“ საცხოვრებელი სახლი (არქ. ი. კახიანი, მ. შავიშვილი, 1954 წ.). აქვე ახლოს აიგო ახალი ადმინისტრაციული სახლი (არქ. მ. შავიშვილი, 1947 წ.). ავტ. აქარხ-

ნის მშენებლობასთან დაკავშირებით სწრაფად გაშენდა მუშათა დასახლება (არქ. მ. შავიშვილი, გ. ჩიგოგიძე, 1945 — 1954 წწ.).

ულამაზეს საკურორტო ქალაქ სოხუმში აშენდა ახალი ნაგებობები (არქ. ლ. და ლ. მუშკუდიანები, 1951 წ.), რეკონსტრუქციები ქუჩა თეატრის შენობა (არქ. მ. ჩხიკვაძე, კ. ჩხეიძის მონაწილეობით, 1950 წ.), სოხუმის მთაზე გაშენდა შესანიშნავი პარკი მრავალი საპარკო ნაგებობით (არქ. ღ. ლითანიშვილი, თ. მაჭარაშვილი, ლ. მუშკუდიანი, გ. თელია, ს. ცინცაბაძე, 1952 წ.).

ბათუმში მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩატარდა ქალაქის კეთილმოწყობისა და გამწვანების მიზნით: აშენდა საზაფხულო თეატრი (არქ. კ. ჯავახიშვილი, ბ. კირაკოსიანი, 1949 წ.), დრამატული თეატრი (არქ. ა. ტეპლიცკი, 1953 წ.), რევოლუციის მუზეუმი (არქ. კ. ჯავახიშვილი, 1955 წ.) და სხვ.

ქალაქ გორში ახალი გენერალური გეგმის შესაბამისად (არქ. ბ. ლორთქიფანიძე, ლ. სუმბაძე) გაყვანილი იქნა ახალი ფართო ბუღვარი და ქუჩები. ცენტრალურ მოედანზე აშენდა ი. ბ. სტალინის სახლ-მუზეუმი (არქ. ა. ქურდიანი, 1955 წ.), სასტუმრო (არქ. ა. ქურდიანი, ქ. ფორაქიშვილი-სოკოლოვა, 1956 წ.), სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შენობა (არქ. მ. შავიშვილი, 1951 წ.), აქვე საქსოვიკომბინატის მშენებლობასთან ერთად აღმოცენდა მუშათა დიდი დასახლება (განაშენიანების ავტორი არქ. ლ. სუმბაძე, 1953 წ.).

რუსთავში, ძველი ნაქალაქარის ადგილას, საფუძველი ჩაეყარა ძეგალურგიულ გიგანტს. სწრაფად დაიწყო ზრდა ახალმა ინდუსტრიულმა ქალაქმა. გაშენდა კეთილმოწყობილი ქუჩები, შესანიშნავი პარკი, აიგო ბევრი საზოგადოებრივი შენობა (დაგეგმარების ავტორები — არქ. მ. ნებრინცევი, ლ. კობალაძე, ზ. ქურდიანი, დ. მელიქიშვილი, ი. ჩხენკელი).

ახალი თეატრები აშენდა კიათურაში (არქ. კ. ჩხეიძე, მ. ჩხიკვაძის მონაწილეობით, 1950 წ.), ზუგდიდში (არქ. მ. ნებრინცევი, 1944 წ.), მახარაძეში (კ. ჩხეიძე) და სხვ.

დიდი მუშაობა ჩატარდა საქართველოს განთქმულ კურორტებზე. ძველი კურორტების — აბასთუმნის, ვაგრის, ბორჯომის კეთილმოწყობასთან ერთად გაშენდა წყალტუბო, მენჯი, ჯავა, საირმე, ახტალა. განსაკუთრებით დიდი მასშტაბის სამუშაოები ჩატარდა კურორტ წყალტუბოში. აქ აშენებულ მნიშვნელოვან ნაგებობათა შორ-

რის აღსანიშნავია სანატორიუმები: ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროსი (არქ. მ. მელეგი, გ. ხიმშიაშვილი, 1953 წ.), უკვე აღკვეთის სამინისტროსი (არქ. ა. ინწკირველი, ვ. ჩანტლაძე, ვ. ნასაძე, ვ. შინაძე, ვ. წილეობით, 1951 წ.), მეტალურგებისა (არქ. ვ. კედია, თანავეტორი ნ. სოლოვიევა, 1957 წ.), სააბაზანო შენობები — № 6 (არქ. მ. ტარასოვი და გ. ხიმშიაშვილი, 1950 წ.) და № 5 (არქ. ი. ზაალიშვილი), აშენდა საყურადღებო სანატორიუმი ტყიბულში (არქ. ვ. მესხიშვილი, 1949 წ.).

დიდი მუშაობა ჩატარეს ქართველმა არქიტექტორებმა საკოლმეურნეო სოფლებში. აშენდა კულტურის სახლები, კლუბები. გამგობათა შენობები, ელსადგურები. აღსანიშნავია, რომ რაიცენტრებისა და სოფლებისათვის შეიქმნა საცხოვრებელი სახლების პირველი ტიპობრივი პროექტების სერიები (არქ. ლ. სუმბაძე, მ. ჭკადუა ს. რევიშვილი, ნ. სოლოვიევა, გ. თელია და სხვები, 1946 წ.). განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს საბჭოთა მეურნეობათა (მაგალითად, კრწანისის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობისა და სხვ.) დაგეგმარების პროექტები. რთული ამოცანები იყო გადასაწყვეტი საბჭოთა მეურნეობათა დაგეგმარებისას მთიანი რელიეფის პირობებში. დავასახელოთ მაგალითად, ციტრუსოვანთა საბჭოთა მეურნეობები: „ქარნალი“, „ურთა“, ჩაის საბჭოთა მეურნეობები — „ონარიო“, „ნარუჯა“ (არქ. ნ. ქურდიანი და სხვა).

ომის შემდგომ პერიოდში საბჭოთა ქართულმა არქიტექტურამ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია ქალაქებისა თუ სოფლების დაგეგმარებისა და განაშენიანების დარგში. ცხადი ვახდა არქიტექტურათა პროფესიული ოსტატობისა და შემოქმედებითი ძალების ამაღლება, მკვეთრად გაუმჯობესდა საცხოვრებელ და საზოგადოებრივ შენობათა დაგეგმარების ხარისხი, გამოვლინდა ნოვატორული კომპოზიციური გადაწყვეტანი, თვალსაჩინოა ეროვნული და კლასიკური არქიტექტურული მემკვიდრეობის შემოქმედებითი ათვისების კარგი ნიმუშები და სხვ. ამავე დროს, საქართველოში, ისევე როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, უკვე წინა ეტაპზე დაწყებული გატაცება მონუმენტური, საზეიმო-„მდიდრული“ ფორმებით, რასაც თითქოს უნდა აესაზა სოციალისტური წყობილების ძლევა მოსიღება, განსაკუთრებით გაიზარდა სამამულო ომში ჩვენი ქვეყნის გამარჯვების შემდეგ. ამას, ბუნებრივია, ხელი შეუწყო გამარჯვებით

2. ხრ. ციციშვილი



გამოწვეულმა და ასეთ შემთხვევაში ყოველთვის რამდენადმე გადა-
ჭარბებულმა პატრიოტულმა ემოციებმა, რომელთაც არქიტექტურას
გაზვიადებული მასშტაბი და „გმირული“ იერი მიანიჭეს.

საქართველოში ეს ნაკლოვანებანი განსაკუთრებით ეროვნული
მემკვიდრეობის ცალმხრივი ათვისების ტენდენციის გაძლიერებაში
გამოიხატა, რამაც თავის მხრივ სწორი საწყისი პოზიციებიდან შემდ-
გომი გადახრა გამოიწვია და ეროვნული ტრადიციების ათვისება
თვითმიზნად აქცია.

ეროვნული ფორმისადმი გადაჭარბებულმა ყურადღებამ ხშირ
შემთხვევებში გამოიწვია არქიტექტურის ფუნქციური მხარეების
უგულებელყოფა. ძირითადი მნიშვნელობა მიენიჭა მხატვრულ მხა-
რეს. არქიტექტურის მატერიალური სპეციფიკის—ცხოვრების მოთ-
ხოვნილებათა დაკმაყოფილების ხარჯზე. ამასთანავე, არქიტექტო-
რები ხშირად არ ითვალისწინებდნენ სამშენებლო ტექნიკის გან-
ვითარებისა და მშენებლობის ტემპების ზრდის აუცილებლობას. ამ-
გვარად, წარმოიშვა წინააღმდეგობა დაგეგმარების პრინციპებსა და
მშენებლობის ამოცანებს, ცხოვრების მოთხოვნილებათა და არქი-
ტექტურის მიმართულებას შორის.

შენობის გარეგანი, საჩვენებელი სახის შექმნით გატაცებული
არქიტექტორთა ნაწილი ცდილობს თავისი ნაწარმოებები გარემოც-
ვიდან გამოჰყოს, თუნდაც ქალაქმშენებლობის ამოცანების უგუ-
ლებელყოფის ხარჯზე. ეროვნული მემკვიდრეობისადმი ასეთი მიდ-
გომისა და ფუნქციური ამოცანების იგნორირების შედეგად გავრ-
ცელდა პრეტენზიულ კოშკურა კომპოზიციები. კოშკები წვეტებით
და უწვეტოდ აგვირგვინებენ თბილისის სადგურის შენობას, „საქ-
ნახშირის“ სახლს, ვორის მუზეუმს, საცხოვრებელ სახლს პეკინის
ქუჩაზე, „საქენერგოს“ ადმინისტრაციულ შენობას, საცხოვრებელ
სახლს ქუთაისში და სხვ. მრავალი შენობა დაგვირგვინებულია რთუ-
ლი, გადატვირთული ლავგარდნებით და მძიმე პარაპეტებით. დავა-
სახელოთ, მაგალითად, სასტუმრო „საქართველო“ თბილისში, „საქ-
ნახშირის“ ადმინისტრაციული შენობა, ზოოტექნიკურ-ვეტერინა-
რული ინსტიტუტის შენობა.

კოშკებთან ერთად გაუმართლებლად გავრცელდა ორ-სამსარ-
თულიანი პორტალური თაღები და ეკლექტიკური ჭარბი დეკორა-
ციული მორთულობა, ქვაში ამოკვეთილი ან ნაძვრწი ჩუქურთმების

სახით. ეს ტენდენცია, რომლის გამართლებასაც ეროვნული მემკვიდრეობის ტრადიციებით ცდილობდნენ, სინამდვილეში ნიადაგ-შოკლებული იყო, ვინაიდან მდიდარი გარეგანი მორთულობა ანასია თებდა ძველი საქართველოს მხოლოდ ზოგიერთი ეპოქის საკულტო ხაგებობას. ამასთანავე არ შეიძლება იმის დავიწყება, რომ ქართული ხუროთმოძღვრების შესანიშნავ ძეგლებში დეკორატიული მორთულობა არასოდეს არ ეწინააღმდეგება შენობის ლოგიკას, მის კონსტრუქციულ და კომპოზიციურ გადაწყვეტას. იგი მუდამ მხოლოდ დაქვემდებარებულ ელემენტს წარმოადგენს. ეროვნული მემკვიდრეობის ასეთივე ზედაპირული გაგებით აიხსნება მისწრაფება შეიქმნას კედლების დიდი, ყრუ სიბრტყეები სარკმელთა ხვრელების შემცირების ხარჯზე. ამ ტენდენციის ქომეგანი აქაც ივიწყებდნენ, რომ კედლის დიდი სიბრტყეები ვიწრო სარკმელებით დამახასიათებელი იყო მხოლოდ საკულტო შენობებისათვის, ამასთან, ეს ნაკარნახევი იყო საეკლესიო რიტუალის მოთხოვნებითა და თავდაცვის მოსაზრებებით. რაც შეეხება საერო შენობებს, მათ ფართო სარკმელები და ღიადები ჰქონდათ.

ასეთ რეტროსპექტულ ნაწარმოებებად მიგვაჩნია: თეატრი სოხუმში, გორის მუზეუმი, ქვანახშირის მრეწველობის მუშაკთა სანატორიუმი წყალტუბოში, „საქნახშირის“ შენობა თბილისში, რკინიგზის სადგური თბილისში, საცხოვრებელი სახლები ჭავჭავაძის პროსპექტზე, პეკინის ქუჩაზე და სხვა.

ამ ფონზე გაცილებით უკეთეს შთაბეჭდილებას ტოვებს შენობები, სადაც ჩანს, ეროვნული ფორმისადმი შემოქმედებითი მიდგომა, დეკორის თავშეკავებული გამოყენება და ფუნქციური მხარეებისადმი მეტი ყურადღება. ასეთია, მაგალითად, მთავრობის სახლის მთავარი კორპუსი, საცხოვრებელი სახლი ნ. ნიკოლაძის ქუჩაზე და სანაპიროზე, სანატორიუმი ტყიბულში და სხვ.

თუ არქიტექტორთა უმრავლესობა გატაცებული იყო ეროვნული მონუმენტური ფორმებით, მეორე ჯგუფი სრულიად უგულვებელყოფდა ეროვნულ ტრადიციებს და ევროპული კლასიკის განყენებული, უგრაჟული სქემების მიხედვით ქმნიდა მშრალსა და თავისი მხატვრული სახით სრულიად უცხო შენობებს (რკინიგზელთა სახლი პლენანოვის პროსპექტზე, დრამატული თეატრი ბათუმში და სხვ.) ამ მოდერნისტულ ფორმებში გადაწყვეტილსა და ეკლექტიკური მორ-

თულობით გადატვირთულ ნაგებობებს (რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტი, მეტალურგების კულტურის სახლი რუსეთში).


დასასრულ გვინდა აღვნიშნოთ, რომ შენობათა ჰეშმარიტ სილამაზესა და მეტყველებას ყოველთვის აღწევდნენ და აღწევენ არა მორთულობის სიმდიდრით, არამედ არქიტექტურის მარჯვე შერწყმით ბუნებასთან, პროპორციების ჰარმონიულობით. მასალის სწორი გამოყენებით, შესრულების ხარისხით და რაც მთავარია არქიტექტურული ნაწარმოების ფორმისა და შინაარსის მთლიანობით.

ეროვნული მემკვიდრეობა ქართული საბჭოთა არქიტექტურის აუცილებელ დასაყრდენს წარმოადგენს, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა აფერხებდეს მის განვითარებას.

საბჭოთა არქიტექტურის განვითარების ახალ პერიოდს საღუჟველი ჩაუყარა 1954 წლის დეკემბერში მოწვეულმა მშენებელთა საკავშირო თათბირმა, სადაც სამართლიანად აღინიშნა არქიტექტურაში არსებული ნაკლოვანებანი, დაისახა დაგეგმარების საქმის გაუმჯობესების, შენობებში გაუმართლებელ ზედმეტობათა აღმოფხვრის, ტიპობრივი პროექტირებისა და სტანდარტიზაციის დანერგვის, მშენებლობაში ინდუსტრიული მეთოდების გამოყენების ამოცანები.

მშენებლობაში ტექნიკური პროგრესის დანერგვის კონკრეტული ამოცანები დასმული იყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობაზე. აგრეთვე სკკპ ცკ-ისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის დადგენილებაში მშენებლობის ინდუსტრიალიზაციის, დაპროექტებასა და მშენებლობაში ზედმეტობათა აღმოფხვრის შესახებ.

ყველა ამ ღონისძიების შედეგად აღიკვეთა საბჭოთა არქიტექტურაში არსებული გადახვევები და შეცდომები, დაიწყო საბჭოთა არქიტექტურის შემოქმედებითი მიმართულების ძირითადი გადახალისება. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ თუმცა ეს გადახალისება ნაკარნახევრ იყო თვით ცხოვრებით და ფართო გამოძახილი ჰპოვა ხალხში, თუმცა მან თვით არქიტექტორთა უმრავლესობის ჯერებსა და მისწრაფებებს უპასუხა, ეს პროცესი რთული და ბევრისთვის, ძირითადად უფროსი თაობის წარმომადგენლებისათვის, ძნელიც აღმოჩნდა. ყოველივე ეს სავსებით ბუნებრივია. ერთი მხრივ წლობით დანერგილი და ჩვეული ცნებებისა და ფორმების ერთბაშად



უარყოფა და მეორე მხრივ კი ახალი ცნებების, ახალი არქიტექტურის პრინციპების ათვისება ადვილი როდი იყო.

მართალია, ქართული არქიტექტურის პირველი ნაბიჯები სარბიელზე სავსებით მტკიცე არ იყო, მას ახლდა ზრდის გარდუვალი სენი, უვრავული ფორმები, რომლებიც ყოველთვის როდი იყო ბოლომდე გაგებული და შეგრძნობილი. მაგრამ მალე უფროს თაობასთან ერთად, რომელიც გულმოდგინედ ითვისებდა ახალი არქიტექტურის პრინციპებს, ასპარეზზე გამოვიდა ახალგაზრდობა, რომლისთვისაც არ არსებობდა „კლასიკური არქიტექტურის“ დამაბრკოლებელი ფაქტორი, რომელიც უკვე ახალ ამოცანებზე იზრდებოდა და ამიტომ ახლებურადაც აზროვნებდა. ქართული საბჭოთა არქიტექტურის განვითარების ამ ეტაპისათვის დამახასიათებელი გახდა ფუნქციური, ესთეტიკური, ტექნიკური და ეკონომიური ამოცანების გაცილებით ფართო და ყოველმხრივი გადაწყვეტა. ყველა საკითხი წყდებოდა კომპლექსურად ქალაქმშენებლობის საფუძველზე. არქიტექტორებმა მტკიცედ შეიგნეს, რომ მასობრივი მშენებლობა უნდა წარიმართოს მშენებლობის სრული ინდუსტრიალიზაციის გზით, ძეცნიერებისა და ტექნიკის ახალ მიღწევებზე დაყრდნობით.

პარტიისა და მთავრობის მიერ დასახულ უმნიშვნელოვანეს ამოცანებთან დაკავშირებით, რომელთა მიხედვითაც უახლოეს 10—12 წელიწადში საცხოვრებლის ნაკლებობა უნდა აღმოფხვრილიყო, საცხოვრებელი რაიონების დაგეგმარება და განაშენიანება არქიტექტურული პრაქტიკის ძირითად ამოცანად იქცა. ამ ამოცანის ირვვლივ თავს იყრის ქალაქმშენებლობის, საბინაო და მასობრივი საზოგადოებრივი ნაგებობის ტიპიზაციის, მშენებლობის ინდუსტრიალიზაციის ყველა საკითხი. შენდება რამდენიმე სახლთსაშენი ქარხანა მსხვილბლოკოვანი და მსხვილბანელოვანი კონსტრუქციებისათვის. მშენებლობის ძველ წესებს თანდათან ცვლის ანაკრები კონსტრუქციების დამონტაჟება.

ასეთი გრანდიოზული საბინაო მშენებლობის განხორციელება თბილისში შესაძლებელი იყო მხოლოდ სწორ გადაწყვეტილებათა საფუძველზე, რომლებიც ითვისებდნენ რეკონსტრუქციულ ღონისძიებათა დროებით უარყოფას და ძირითადი მშენებლობის გადატანას თავისუფალ ტერიტორიებზე მსხვილი საცხოვრებელი რაიონების სახით. ამის შედეგად თბილისში შეიქმნა პირველი ოთხი

მსხვილი საცხოვრებელი რაიონი: საბურთალო (დაგეგმარების ავტორები არქ. ა. ბაქრაძე, დ. გრაქელიძე, შ. ყავლაშვილი, ი. ყავლაშვილი), ნავთლული (არქ. ნ. მიქაძე, მ. ჯაფარიძე), დიდი დიდი (არქ. ი. ჩხენკელი, ნ. მიქაძე, ა. ჯობაძე, ი. მოსულიშვილი) და გლდანი (არქ. გ. ბერიძე, გ. შავდია). ამ არსებითად პირველი თანამედროვე საცხოვრებელი რაიონების შექმნას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მოკლე დროში შესამჩნევი გახდა ქალაქის მოსახლეობის საბინაო პირობების გაუმჯობესება. ამასთან, აქ პირველად გამოცდილი განაშენიანების მიკრორაიონული პრინციპი მსხვილი კვარტალებით (10—12 ჰ), სადაც გათვალისწინებულია მშრომელთა ყოველდღიურ მოთხოვნილებათა უზრუნველყოფა კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სამეურნეო მომსახურებით. განაშენიანების თავისუფალი სისტემის წყალობით შესაძლებელი ხდება რელიეფისა და გარემოს უფრო მოხერხებული გამოყენება, ორიენტაციის, ინსოლაციისა და განიავების მოთხოვნილებათა გათვალისწინება. მიკრორაიონების განაშენიანება ხორციელდება ჯერ 4—5-სართულიანი (არქ. ზ. ქურდიანი, ს. რევიშვილი, გ. თავდგირიძე, დ. ჩოფიკაშვილი, 1956 წ.) და შემდეგში 8—9-სართულიანი სექციური ტიპობრივი სახლებით.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ რაიონების დაგეგმარება არაა სრულყოფილი: იგრძნობა ერთგვარი სიმშრალე და არასაკმარისი გაბედულობა გადაწყვეტაში, ყოველთვის ვერაა მოხერხებულად განლაგებული სასკოლო შენობები და სავაჭრო დაწესებულებები, ზედმეტად ხშირია ქუჩებსა და კვარტალებში გასასვლელების ქსელი. ამას გარდა დაგეგმარების პროექტებიც არ იყო მთლიანად განხორციელებული ტერიტორიების კეთილმოწყობის, გამწვანებისა და მომსახურების მხრივ. თვით ტიპობრივი საცხოვრებელი სახლები მრავალ დანებობით მხარესთან ერთად (მათი ეკონომიურობა, კონსტრუქციული ელემენტების ტიპოზომების მცირე რაოდენობა და სხვ.) ხასიათდება სერიოზული ნაკლოვანებებითაც, როგორცაა ერთოთახიანი ბინების იძულებითი ცალმხრივი ორიენტაცია, მიდგმული ლოჯიების მონტაჟის სირთულე, დამხმარე ფართობის სიმცირე, რაც მეტად უხერხულია მობინადრეებისათვის. თვით სახლები სქემატურია, უსახო, მათი შესრულების ხარისხიც ძალზე დაბალია.

ახალი საცხოვრებელი რაიონების შექმნასთან დაკავშირებით განხორციელდა ქალაქთმშენებლობის რიგი ღონისძიება. საბურთა-

ლოს რაიონში შეიქმნა ფართო მაგისტრალები — ვაჟა-ფშაველას პროსპექტი და პავლოვის ქუჩა. ვარაზის ხევის დამთავრების შემდეგ, 1959 წელს კლდეების გაჭრის შედეგად შეიქმნა ქალაქის ერთ-ერთი თადი საცხოვრებელი რაიონის ვაკისა და საბურთალოს შემაერთებელი ფართო, მწვანე მაგისტრალი. ქალაქის სხვა უბნებშიც შეიქმნა ახალი კეთილმოწყობილი მაგისტრალები — მოსკოვისა და აკ. წერეთლის პროსპექტები. კვლავ დიდი ყურადღება ექცევა ქალაქის გამწვანებას. ამჟამად ქალაქში უკვე 17 ბაღ-პარკი და მრავალი სკვერია. გრძელდება თბილისის შემომთარგვლედი მთების გამწვანება.

თბილისში გაჩნდა ტრანსპორტის ახალი სახეობაც — საბავირო გზები. ამჟამად ქალაქში უკვე სამი ასეთი გზაა. ერთი აკავშირებს რუსთაველის მოედანს კულტურისა და დასვენების პარკთან მთაწმინდის პლატოზე (ინჟ. გ. ფანცულაია, არქ. კ. ჩხეიძე, გ. ხეჩუმაშვილი, 1957 წ.), მეორე — მტკვრის ორ ნაპირს დიდუბის რაიონში, ხოლო მესამე — ვაკის პარკს მთაზე მდებარე კუს ტბასთან.

ქართული საბჭოთა არქიტექტურის ახალი მიმართულების ნიშნები, რომლებიც განსაკუთრებით თვალსაჩინოა ქალაქმშენებლობასა და მასობრივ ბინათმშენებლობაში, საზოგადოებრივი შენობების და ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების არქიტექტურაშიც ვლინდება. საზეიმო, რთული კომპოზიციის შენობების ნაცვლად შენდება დანიშნულებისა და კონსტრუქციული გადაწყვეტის შესატყვისი ცხაღი და ხალისიანი შენობები. ამ მხრივ აღსანიშნავია მტკვრის სანაპიროზე აგებული 127-ბინიანი საცხოვრებელი სახლი (არქ. მ. მელია, 1956 წ.), 220-ბინიანი საცხოვრებელი სახლი (არქ. გ. მელქაძე, შ. ყავლაშვილი, ლ. ხარაშვილი, 1960 წ.). ეს უკანასკნელი საცხოვრებელი სექციების მოხერხებული გადაწყვეტით გამოირჩევა. ყველა ბინა უზრუნველყოფილია გამჭოლი განიავებით, აზრიანათა გამოყენებული დამხმარე ფართობი-ანტრესოლები. კარადები, საკუჭნაოები, ღრმა ლოჯიები დამატებით ფართობს ქმნიან. თვით შენობა გამოირჩევა სასიამოვნო პროპორციებით და განაშენებინებაში კარგად მოძებნილი მასშტაბით. მოპირკეთების ხარისხიანი მასალა, ლოჯიების სასიამოვნო ფერი, ტაქტით გამოყენებული აუთრული საჩრდილობელი ცხატრები — ნათელი, ხალისიანი, თანამედროვე სამხრეთული საცხოვრებელი სახლის იერს ქმნიან.



დადებით შეფასებას იმსახურებს, აგრეთვე, საცხოვრებელი სახლი მცხეთის ქუჩაზე (არქ. ვ. აბრამიშვილი, თ. კანდელაკი, დ. მორბედაძე, 1962 წ.). ბინების მოხერხებული დაგეგმარება, ღრმა ლიჯები, კიბის ღია უჯრედის ორიგინალური მოლარტყვა და სახლის კონფიგურაციაში ქალაქთმშენებლობის მომენტების გათვალისწინება მოწმობენ ავტორების დაკვირვებულ მიდგომას დასახული ამოცანისადმი. ამ პერიოდში უმნიშვნელოვანეს ნაგებობას წარმოადგენს საბურთალოში აგებული სპორტის სასახლე (არქ. ვ. მესხიშვილი, ი. კასრაძე, კონსტრუქტორი დ. ქაჯაია, 1961 წ.). შენობა გაშენებულია უბნის სიღრმეში 40 მეტრით უკან, რაც სამი მხრიდან მისასვლელების, მწვანე პარტერებისა და ავტოსადგომების მოწყობის შესაძლებლობას ქმნის. გვერდით, კვადრატული ფორმის შენობის ცენტრში მოთავსებულია ტრანსფორმირებადი არენა, რომელსაც ეკვრის ამფითეატრი 10-000 მაყურებლისათვის. შენობა აგებულია რკინაბეტონით და მოპირკეთებულია ეკლარის ქვით. დარბაზი გადახურულია 76 მეტრი დიამეტრის გარსით. შიგნით იქმნება უზარმაზარი მსუბუქი სივრცე, რომელიც შემინული გალერეების მეშვეობით უკავშირდება გარემოს. შენობის გარეგანი სახეც მეტად ლაკონიურია. ფასადების გადაწყვეტის ძირითად მოტივს წარმოადგენს მძლავრი თაღები, რომელიც ღრმა პორტიკის სახით სამი მხრიდან უვლის სასახლეს. შენობის სიმსუბუქეს ხელს უწყობს თაღების ზემოთ მოთავსებული აყურული, შემინული ზოლი, რომელიც მთავრდება ძლიერ გამოწეული კარნიზის ფილით. დასასრულ, შენობას ავჯირგვინებს დიდი და ოდნავ მძიმე გუმბათი.


სხვა შენობათა შორის, რომლებიც უპასუხებენ ახალ მიმართულებების მოთხოვნილებებს, შეიძლება აღინიშნოს: კინოთეატრი „გაზაფხული“ (არქ. ნ. შოშიტაიშვილი, კ. ნახუცრიშვილი, 1957 წ.), კაფე „გაზაფხული“ (არქ. ვ. აბრამიშვილი, თ. კანდელაკი, დ. მორბედაძე, 1960 წ.), კაფე „მეტრო“ (არქ. თ. ფოცხიშვილი, თ. მიქელაძე, ი. კამოვი, თ. მაჩაბელი, 1961 წ.), კურორტოლოგიის ინსტიტუტის შენობა (არქ. ი. ზაალიშვილი, 1963 წ.). საყურადღებოა თბილისის ზღვაზე აგებული რესტორანი „იორი“ (არქ. ვ. მესხიშვილი, 1961 წ.). იგი კარგადაა დაკავშირებული რელიეფთან და გარემოსთან. შენობის კომპოზიცია გაბედულია, ხოლო არქიტექტურული ფორმები — მოხდენილი, განსაკუთრებით კარგია ვერანდა, მსუბუქი ფანჩატური

და ქვის ფილებით მოკირწყლული იატაკი ბალახის ძარღვებით. კარგადაა შეთანხმებული გარემოსთან მოტელ „უშბას“ თანამედროვე მსუბუქი შენობა საქართველოს სამხედრო გზის დასაწყისში (არქ. თ. ქოჩაკიძე, ა. სლავინსკი, ი. ჩიკვაიძე, 1962 წ.).

ჩანაფიქრის სიახლითა და გემოვნებით გააზრებული ფორმებით ხასიათდება სადგურის მოედანზე აგებული სასტუმრო „კოლხეთი“ (არქ. თ. თევზაძე, ნ. ჯობაძე, 1963 წ.), კარგად ერწყმის ვაჟა-ფშაველას პროსპექტის განაშენიანებას სასტუმრო „აფხაზეთი“ (არქ. თ. შუბლაძე, 1963 წ.). მსუბუქი და სასიამოვნოა ტურისტული ბაზის შენობა ვაკეში (არქ. თ. აბაშიძე, ი. კასრაძე, მ. სამთელაძე, 1965 წ.). 1962 წ. კარგად იყო რეკონსტრუირებული კ. მარქსის სახელობის ხიდი (არქ. გ. მელქაძე, შ. ყავლაშვილი, ინჟ. გ. ქარცივაძე). ლენინის ქუჩაზე აშენდა რადიოსა და ტელევიზიის შენობა (არქ. ა. ქურდიანი, 1962 წ.), თუმცა მისი მასშტაბი და ფასადის კომპოზიცია სათანადოდ ვერ ერწყმის გარემოს. ბევრი საინტერესო რამაა გაკეთებული სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე დიდუბეში, სადაც ავტორთა კოლექტივმა არქ. ლ. მამალაძის ხელმძღვანელობით შექმნა საყურადღებო ფორმები ბეტონის, მინისა და თანამედროვე მასალების შეხამებით.

საბურთალოში, სპორტის სასახლის მახლობლად, მტკვრის პირას გაშლილ პლატოზე დაიწყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დიდი კომპლექსის მშენებლობა. ამჟამად უკვე აგებულია რამდენიმე ინსტიტუტის შენობა, რომელთა შორის ყურადღებას იპყრობს ხელნაწერთა ინსტიტუტი (არქ. გ. ლეყავა, თ. თოდრაძე, გ. ცუხიშვილი) და ფუნდამენტური ბიბლიოთეკის დიდი ნათელი კორპუსი (არქ. გ. ლეყავა, ი. ლიბერმანი, 1970 წ.).

არ შეიძლება არ აღინიშნოს ის დიდი სამუშაო, რომელიც ქართველმა არქიტექტორებმა შეასრულეს ტიპობრივი დაგეგმარების დარგში. ამჟამად კატალოგი უკვე შეიცავს ასეულ საცხოვრებელ სახლს, სკოლას, სკოლა-ინტერნატს, საბავშვო დაწესებულებებს, კლუბებსა და სხვ. მათ შორის აღსანიშნავია საშუალო სკოლის შენობა 920 მოსწავლისათვის, რომელმაც 1956 წელს საკავშირო კონკურსზე პრემია მიიღო (არქ. შ. დავითაშვილი, თ. ნაცვლიშვილი, გ. ჯაბუა, გ. მეტონიძე) და ტიპობრივი საშუალო სკოლა 800 მოსწავლისათვის (არქ. ნ. ფირცხალაიშვილი).



დიდი მასშტაბის მრავალფეროვანი სამუშაოები ტარდება სოფ-
ლად. იქმნება კოლმეურნობათა და საბჭოთა მეურნეობათა საცხოვ-
რებელი სახლების ახალი ტიპობრივი პროექტები, იწყება კოლმეურ-
ნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ექსპერიმენტული მშენებლო-
ბა. შეიქმნა ალბომები სოფლად ინდივიდუალური მშენებლობისათ-
ვის. განსაკუთრებით დიდი გაქანება მიეცა სოფლის საწარმოო შენო-
ბებს (მაგალითად მეფრინველეობის ფაბრიკები).

საინტერესო მუშაობაა ჩატარებული სამრეწველო არქიტექტუ-
რის დარგშიც. დამუშავებულია ჩაის ფაბრიკის ტიპობრივი პროექ-
ტი (არქ. ა. სულაქველიძე, თ. ვაბუნია, რ. ივანოვი, ინჟ. ი. ლოლობე-
რიძე, ი. სერებრიანსკი, გ. ნარსია), რომლის მიხედვითაც 15 ასეთი
ფაბრიკის მშენებლობა ხორციელდება. ორიგინალური გადაწყვეტით
ხასიათდება ღვინის საცავის ტიპობრივი პროექტიც (არქ. ვ. ფოფხა-
ძე, ინჟ. ი. ლოლობერიძე, ი. აბლახატოვი), სადაც ღვინის შესანახად
განკუთვნილი რკინა-ბეტონის ცილინდრული რეზერვუარები, ამას-
თანავე გამოყენებულია, როგორც გრძივი კედლები და გადახურვის
საყრდენები.

საკურორტო ნაგებობათა შორის ყურადღებას იპყრობს ახალი
112-ადგილიანი სააბაზანო შენობა წყალტუბოში (არქ. ი. ზაალიშვი-
ლი, ინჟ. დ. ქაჯაია, ნ. მესხი, ბალნეოტექნიკოსი მ. ნადირაძე). გევმა-
ში წრიული ფორმის შენობა გადახურულია 40 მეტრი დიამეტრის
გარსით. შენობა ხასიათდება ტექნიკური სქემის სიახლით და გადა-
ხურვის ორიგინალური კონსტრუქციით.

უკანასკნელი წლები აღსანიშნავია იმით, რომ არქიტექტორთა
შემოქმედებაში შეიმჩნევა უარყოფა ყოველივე უცხოისი, ნასესხე-
ბისა. ახალ არქიტექტურულ ნაწარმოებებში თვალსაჩინოა მეტი ყუ-
რადღება ფუნქციური საკითხებისადმი, ქალაქის მასშტაბისა და ვა-
რემოს შეგრძნობა და სხვ. ამ სიტყვების დასადასტურებლად საკმა-
რისია გადავხედოთ ბარათაშვილის სახელობის ახალ ხიდს (არქ.
შ. ყავლაშვილი, ვ. ქურთიშვილი, ინჟ. გ. ქარცივაძე, 1965 წ.), რომ-
ლის სისადავე, ჩანაფიქრის ორიგინალობა, მასშტაბი და გარემოს
გათვალისწინება ავლენს ახალ აზროვნებას, ქალაქის ამოცანათა შე-
საბამისად, ან ავიდოთ სასტუმრო „ივერია“ (არქ. თ. კალანდარიშვი-
ლი, თანაავტორი ი. ცხომელიძე, 1969 წ.), რომლის სადა, ლაკონიუ-
რი ფორმა მშვენივრად შეთანხმებული ადგილთან და რელიეფთან,

და ეს არსებითად პირველი მაღლივი შენობა თბილისში, ახალ მას-
შტაბსა და ქლერას ანიჭებს მთელ გარემოს.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია სასოფლო-სამეურნეო
ინსტიტუტის კომპლექსი დილოში (არქ. ვ. მესხიშვილი, გ. გაბაშვი-
ლი, 1969 წ.). ეს ნათელი, ხალისიანი შენობა მშვენივრადაა შეხამე-
ბული რელიეფთან. მისი ყველა შემადგენელი ნაწილი კარვადაა
გააზრებული და შესრულებულიც. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუ-
ტის კომპლექსი მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ ეს საესე-
ბით თანამედროვე შენობა ამავე დროს თავისთავადია და ეროვნუ-
ლი ღღევანდელი გაგებით. ამასთანავე ეს მიღწეულია არა გარეგანი
საშუალებებით — დეკორით; ხელოვნების სხვა დარგების მოშვე-
ლიებით, არამედ თვით გეგმარებითა და კომპოზიციური ხერხებით.

სხვა უკანასკნელ პერიოდში აგებულ თუ მშენებარე ობიექტებს
შორის აღსანიშნავია რკინიგზის ტექნიკური შენობა სადგურის მოე-
დანზე (არქ. გ. მელქაძე, ე. კვერნაძე), საცხოვრებელი სახლი ლენინ-
ის ქუჩაზე (არქ. ლ. ჭანელიძე), გარაჟი 300 მანქანისათვის კრწა-
ნისში (არქ. ვ. მესხიშვილი, გ. ქურდიანი), უნივერსალური მაღაზია
რუსთაველის პროსპექტის დასაწყისში (არქ. რ. ბაირამაშვილი, დ.
მორბედაძე), ცეკავშირის ადმინისტრაციული შენობა (არქ. გ. მელ-
ქაძე), საჭადრაკო კლუბის შენობა კიროვის პარკში (არქ. ვ. მესხიშ-
ვილი, გ. ღუღუშაური), ავტოსადგურის დიდი შენობა ორთაჭალაში
(არქ. შ. ყავლაშვილი, ვ. ქურთიშვილი, რ. კიკნაძე). აქვე უნდა აღი-
ნიშნოს 12-სართულიანი საცხოვრებელი სახლები ბათუმში და სხვ.
თბილისში ლენინისა და მელიქიშვილის ქუჩების გადაკვეთაზე მთავ-
რდება კინო-საკონცერტო დარბაზის დიდი შენობის მშენებლობა
(არქ. ი. ჩხენკელი). შენობა უეჭველად საინტერესოა და მისი შეს-
რულების ხარისხიც საკმაოდ მაღალი. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ
დარბაზის ფუნქციური გადაწყვეტა ბევრში სადავოა და ქალაქთ-
მშენებლობის თვალსაზრისითაც ადგილი სწორად არ არის შერ-
ჩეული.

ქართველ არქიტექტორთა შემოქმედებით შესაძლებლობათა
თვალსაჩინო მაჩვენებელია თბილისის გაფორმება ჯერ ქალაქის 150მ
წლისთავთან და შემდეგ კი შოთა რუსთაველის იუბილესთან დაკავ-
შირებით.

1958 წელს ქალაქის მისადგომები დამშვენდა მემორიალური

ძეგლებით. კახეთის გზატკეცილზე, აეროდრომის გზაზე აიგო მოხ-
დენილი სატრიუმფო თალი ობელისკით (არქ. ნ. ჯობაძე). ქანდაკე-
შესასვლელთან სამხედრო გზაზე — ობელისკი და ~~ქანდაკე~~
თ. კანდელაკი) და კიდევ ერთი ობელისკი დაიდგა სომხეთ-აზერბაი-
ჯანის გზაზე (არქ. ა. ბაქრაძე). რამდენადმე გვიან აიგო თბილისის
დამცველი 300 არაგველის ორიგინალური მემორიალური ძეგლი
(არქ. ა. ბაქრაძე, 1959 წ.). მეტეხის ტაძრის პლატოზე დაიდგა თბი-
ლისის დამაარსებლის ვახტანგ გორგასალის მონუმენტური ქანდა-
კება (მოქანდაკე ე. ამაშუკელი, არქ. თ. კანდელაკი, დ. მორბედაძე).
ხოლო კომკავშირის ხეივანზე ნარიყალას ციხესთან — „ქართველი
დედის“ სიმბოლური ქანდაკება (მოქანდაკე ე. ამაშუკელი, 1958 წ.).

შოთა რუსთაველის 800 წლის იუბილეს დღეებში არქიტექტო-
რებმა შეძლეს რუსთაველის პროსპექტის გაფორმების ერთიანა და
ხაფიქრისადმი დაქვემდებარება. მალაზიების ვიტრინები, რეკლამები,
წარწერები, მაჩვენებლები, კიოსკები, ქვაფენილები და ბორდურები.
პარტერული გამწვანება და განათება — ყველაფერი ქალაქის მთა-
გარ პროსპექტს საზეიმო, დედაქალაქურ იერს ანიჭებს. განსაკუთრე-
ბით კარგადაა გაკეთებული ოპერის თეატრის მიმდებარე ორი პატა-
რა სკვერი. აქ არქიტექტორმა ა. ბაქრაძემ გამოავლინა კარგი გემოვნ-
ება. მარჯვედ შეათანხმა ქვის ფილები და გამწვანება, ძველი სტე-
ლები და ქანდაკებანი შადრევნების წყლის ნაკადებს.

საერთოდ, უკანასკნელ პერიოდში თვალსაჩინოა არქიტექტური-
სა და მონუმენტური თუ დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების
ორგანული სინთეზის განვითარება. ამ მხრივ საუკეთესო მაგალითს
წარმოადგენს ქორწინების სახლი თბილისში (არქ. შ. ყავლაშვილი,
რ. კიკნაძე). აქ ავტორებმა შეძლეს შეზღუდული ფართობის პირო-
ბებში შეექმნათ მომხიბვლელი ნაწარმოები, რომელიც კარგადაა
დაკავშირებული გარემოსთან, სადაც შინაარსის შესაბამისად ქანდა-
კებითა და ჭედური ფილებით (მოქანდაკეები გ. და ი. ოჩიაურები)
გამდიდრებული არქიტექტურული ფორმები ქმნიან. ემოციას, განწყ-
ობილებას, ხალისს. აქ საუკეთესოადა გამოყენებული ხალხის ტრა-
დიციები და თანამედროვე გემოვნება. ბევრი სიახლე და გამომგო-
ნებლობა, არქიტექტურისა და ქანდაკების შერწყმა გვაქვს მუსიკა-
ლური კომედიის თეატრში (რეკონსტრუქციის ავტორები თ. ლი-
თანიშვილი, თ. მატარაშვილი, მოქანდაკე კ. გურული, 1966 წ.). ხინ-

თეზის თვალსაზრისით უეჭველად საყურადღებოა მტკვრის სანაპიროზე აგებული რესტორანი „არაგვი“ (არქ. ო. მაჩაბელი, ა. ლევაზიშვილი, ა. ჩხიკვაძე, 1970 წ.), განსაკუთრებით კურორტ ბიჭვინთის მხატვრული სამუშაოები, სადაც მხატვართა ჯგუფმა (ზ. წერეთელი, კ. იგნატოვი, მ. ბერძენიშვილი, გ. კალაძე, ვ. ორბელიაძე და სხვები) გამოავლინა კარგი გემოვნება და ბევრი სიახლე.

1966 წელს საზღვიანო ვითარებაში გაიხსნა თბილისის მეტროპოლიტენის პირველი ხაზი. მეტროპოლიტენის აგება თბილისში მეტად აუცილებელი იყო რთულ ბუნებრივ პირობებში საცხოვრებელი რაიონების დაკავშირებისათვის. პირველი რიგის მშენებლობა მოიცავდა ქალაქის გრძივ ღერძს, სადაც ჯერ აშენდა 6 სადგური, ხოლო შემდგომში კიდევ 3. სადგური „დიდუბე“ და „ელექტროდევო“ მიწისზედა მსუბუქ პავილიონებს წარმოადგენენ, ხოლო სადგურები „ოქტომბერი“ (არქ. თ. თევზაძე, რ. კიკნაძე, მხატვარი კ. იგნატოვი), „სადგურის მოედანი“ (ზედა ვესტიბიული—არქ. გ. მელქაძე, ე. კვერნაძე, ქვედა — ვ. აბრამიშვილი), „მარჯანიშვილის მოედანი“ (ზედა ვესტიბიული — არქ. მ. მელია, ქვედა — გ. მელქაძე, ნ. ქვარცხავა. თ. მიქაშავიძე, ი. ყავლაშვილი.), „რუსთაველი“ (ზედა ვესტიბიული — ო. კალანდარიშვილი, ი. ცხომელიძე, ქვედა — ლ. ჯანელიძე, მოქანდაკე ე. ამაშუკელი) და „ლენინის მოედანი“ (არქ. გ. მესხიშვილი, ქ. კობახიძე) ქართველი არქიტექტორთა უცილობელ წარმატებას მოწმობენ. ყველა სადგურისათვის დამახასიათებელია სისადავე, სიმშვიდე, მხატვრული ტაქტი.

ქართული საბჭოთა არქიტექტურის შემდგომი წარმატება ბევრად და დამოკიდებული არქიტექტორთა მომავალ ცვლაზე. ამ მხრივ უნდა ითქვას, რომ ქართველი სტუდენტი არქიტექტორების ნამუშევრებმა უკანასკნელი წლების მანძილზე საყოველთაო ყურადღება მიიპყრეს. მათი სადიპლომო პროექტები ყოველწლიურად აღინიშნება უმაღლესი საკავშირო და საერთაშორისო პრემიებით. 1967 წელს საერთაშორისო არქიტექტორთა კავშირის VIII კონგრესზე პრალაში უმაღლესი — „ათენის“ პრემია მიენიჭა ქართველ სტუდენტს ვ. ცინცაძეს, ხოლო 1969 წელს IX საერთაშორისო კონგრესზე ბუენოს-აირესში, აღიღვ ლოოსის სახელობის „ვენის“ პრემია დაიმსახურა სტუდენტმა დ. ელოშვილმა.

არ შეიძლება არ აღინიშნოს დიდი შრომა, რომელიც საქართვე-



ლოს რაიონული დაგეგმარების მხრივ ჩატარდა. რესპუბლიკის შექმნილია 2 სამრეწველო — თბილისისა და ქუთაისის, 16 სოფლის მეურნეობისა და 2 საკურორტო (ბორჯომისა და შავი ზღვისპირეთის) რაიონი. ამ მნიშვნელოვანი საძეულოს შესრულება აუცილებელი იყო ქალაქების, სოფლებისა და კურორტების გეგმიანი, გააზრებული განვითარებისათვის.

1970 წელს საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა თბილისის გენერალური გეგმა. განსაზღვრულია, რომ თბილისი წარმოადგენს რესპუბლიკის მსხვილ ადმინისტრაციულ, სამრეწველო, სამეცნიერო, კულტურისა და სატრანსპორტო ცენტრს. გენერალური გეგმით გათვალისწინებულია თბილისის განვითარება 1970 წლიდან 2000 წლამდე, საანგარიშო პერიოდში მოსახლეობის გაზრდით 1 250 000 კაცამდე. ამასთანავე დაგეგმილია ქალაქის ტერიტორიულ ზონებად დაყოფა და მრეწველობის განვითარების შეზღუდვა. თითოეული მოსახლის ჯერ 12 და შემდგომში 15 კვ. მეტრი ფართობით უზრუნველყოფისათვის. ქალაქი მნიშვნელოვნად იზრდება ჩრდილოეთით (დიდომი, ვაშლიჯვარა, ავჭალა-გლდანი), ჩრდილო-აღმოსავლეთით (ავშნიანი, საჯირო) და აღმოსავლეთით (მახათის პლატო და ვარკეთილი, ლილო). ამგვარად, განაშენიანება ვრცელდება „თბილისის ზღვის“ ირგვლივ მდებარე რაიონებში, რის შედეგადაც ეს წყალსაცავი ქალაქის შიგნით მოექცევა. გენერალური გეგმით გათვალისწინებულია ახალი საცხოვრებელი რაიონების რაციონალური კავშირი ქალაქის ცენტრთან და სამრეწველო უბნებთან. არსებული, ჩამოყალიბებული რაიონების გაუმჯობესება, ძველი რაიონების რეკონსტრუქცია და კეთილმოწყობა.

თბილისის არსებული ცენტრი, ცხადია, მეტად მცირე იქნება მომავალი ქალაქისათვის. ამიტომ გათვალისწინებულია მისი განვითარება მტკვრის ორივე ნაპირზე და თბილისის ზღვის მიმართულებით. დასახულია ახალი მაგისტრალები საქალაქო და საგარეო ტრანსპორტისათვის. გათვალისწინებულია ჩქაროსნული მოძრაობისა და რაიონული მაგისტრალები, რომლებიც საცხოვრებელსა და სამრეწველო რაიონებს დააკავშირებენ. განზრახულია წყალსადენის სიმძლავრის მნიშვნელოვანი გადიდება არაგვის წყლებისა და ჟინვალის ენერგეტიკული კომპლექსის ხარჯზე, კანალიზაციის ქსელის დამთავრება, ყველა წყლის მდინარე მტკვრის მიმართულებით გაყვანით და

მათი სრული ბიოლოგიური გაწმენდით. გათვალისწინებულია თბილისის ირგვლივ 5—15-კილომეტრიანი დასასვენებელი ზონის შექმნა, რაც გააჯანსაღებს ქალაქის ჰაერის აუზს. ამასთანავე აღინიშნება გენერალური გეგმის დამუშავების მაღალი ხარისხი (ავტორები. ა. ჯიბლაძე, გ. ჯაფარიძე, გ. შავდია, ი. ჩხენკელი, ლ. ლორთქიფანიძე, ი. ბოლქვაძე).

ამჟამად ქართველ არქიტექტორთა წინაშე დგას მრავალი რთული ამოცანა რესპუბლიკის ქალაქებისა და სოფლების რეკონსტრუქციისა და განვითარების მხრივ და ეს ამოცანები წარმატებით უნდა გადაიჭრას.

საბჭოთა ქართულმა არქიტექტურამ 50 წლის მანძილზე განვითარების რთული და შინაარსიანი გზა გაიარა. ამჟამად მან უკვე გადალახა როგორც მისთვის ადრე ჩვეული ფორმალურ-ესთეტიკური სახის დაბრკოლებანი, ასევე უკანასკნელ პერიოდში ტექნიკასთან გაიგივების ტენდენცია, და თამამად იკვლევს მომავლის გზას.

დღევანდელი არქიტექტურის მხატვრული ხარისხი დიდი სოციალური მნიშვნელობის საკითხია. არქიტექტურა თავისი არსის, ბუნების წყალობით ხალხის მხატვრული გემოვნების მთავარ კანონმდებელს წარმოადგენს. იგი აყალიბებს, ქმნის ხალხის გემოვნებას, მის ემოციებს. ტაძრები, სასახლეები და სხვა მონუმენტური შენობები მუდამ ანსახიერებდნენ სახელმწიფოს ღირსებას, ძალას და არსს. ჩვენს ქვეყანაში ამ გრძნობებს ემატება ის ამაყი შეგნება, რომ ყველაფერი ეკუთვნის ხალხს. თავისი არქიტექტურის, თავისი შენობების მეშვეობით ხალხი გამსჭვალულია პატივისცემით თავისი თავისადმი, თავისი ქვეყნისადმი. არქიტექტორები ვალდებული არიან გამოიყენონ ყოველივე, რასაც გვაძლევს თანამედროვე ცოდნა, ხელოვნება, მოწინავე ტექნიკა, და აშენონ იდეურად, აშენონ ხალხისათვის, აშენონ ქალაქები, სადაც სასიამოვნო იქნება ცხოვრება, შრომა და დასვენება, შეუქმნან ხალხს ჩვენი ეპოქის შესატყვისი გარემო.

КОНТРОЛЬНЫЕ
ЭКЗЕМПЛЯРЫ

რედაქტორი თ. კვიციანი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 4. 12. 70. ქაღალდის ზომა 60X84/16;
ნაბეჭდი თაბახი 2,0, სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 1,5.

შე 11162.

ტრაჟე 40.800.

შეკვ. № 3108

ფასი 10 კპ.

საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნა“
თბილისი, ლენინის ქ. № 35.

საქართველოს კვ-ის გამომცემლობის სტამბა
თბილისი, ლენინის ქ. № 14.

Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

27/10

ფასი 10 კპ.

4965



ИРАКЛИИ НИКОЛАЕВИЧ ЦИЦИШВИЛИ
Грузинская советская архитектура за 50 лет
(На грузинском языке)

Общество «Знание» Грузинской ССР
Тбилиси, Ленина, 35

1970